ცნობის ფურცელი

№ 2245 კვირა, 24 აგვისტო 1896—1903 ყოველ-დღიური გაზეთი № 2245

ფასი დღის: წლიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: [illegible] სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—8 კაპ., შემდეგ—5 კაპ. ხელის-მოწერა და ფასიანი განცხადებანი მიიღება: „ცნობის-ფურ." რედაქციის კანტორაში [illegible] ქუჩაზე, № 27 და წ. კით. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში ([illegible] თეატრის [illegible] პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირადი მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—2-მდე საათამდე.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372

ამ ნომერთან ხელის მომწერთ ეგზავნებათ „სურათებიანი დამ[illegible]ის" მე-145 №-რი

უმთავრესი კანტორა დ. ზ. სარაჯიშვილისა ქ. ტფილისში ა[illegible]ებს, რომ
საუკეთესო ვენახების

ქახურის ღვინის

შესანახად და დასაძველებლად, 1903 წლის 1 იანვრიდან დაქირავებულია [illegible] დაფები **ეტრუსა მაკაროვისა.** კანტორა და მაღაზია ღვინის ვაჭრობისა იმავე სახლშია [illegible]ოგაის ქუჩა, ტელეფონი № 150).

ღვინოები ისყიდება ბოთლი 25 კაპ. დაწყებული.

ნარდად მსყიდველთ და მუდმივ მუშტარს ნაკლებად მიეცემა; ათ ბოთლზე ნაკლ[illegible] თუ არ მოითხოვა მუშტარმა, ღვინოს კანტორა სახლში თვითონვე მიუტანს.

ღ ვ ი ნ ო ი ყ ი დ ე ბ ა:

საწყობში—გოლოვ. პროს. სახ. დობრჟანსკისა, ტელეფ. № 595.

დეპო № 1, სასახლის ქუჩა, საკუთარი სახლი, ტელეფ. № 60.

დეპო № 2, თავ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ ტელეფ. № 210.

კავკასიის აფიც. საზოგ., რკინის გზის მოხელეთა მომხმარებ. საზოგადოებისა, შაქიევისა, მანიევისა, აკოფოვისა და სხვა საგასტრონომიო მაღაზიაში. (0—24)

ფოთის საბუხჰალტერო კურსები
კ. გიგინეიშვილისა.

თხოვნა მიიღება ყოველ დღე. სწავლა დაიწყება პირველ ენკენისთვიდან. პროგრამები მსურველთ გაეგზავნება უფასოდ. კურსებისთვის აშენებულია საგანგებო კაბინეტი პრაქტიკულ განყოფილებაში ფიქტიურ ოპერაციების საწარმოებლად. კურსების ჩინებულად დამსრულებელთ თვით კურსების დამაარსებელი უჩენს ადგილს (ნ. 0—10)

სასწავლებელი და პანსიონი

გ. ლ. კუზანოვისა

ამზადებს ბავშვებს ყველა საშუალო სასწავლებლისთვის და იყვანს პანსიონერებს. მიღება დაიწყება 21 აგვისტოდან, ხოლო სწავლა—1 სექტემბრიდან. სოლოლაკი, ლერმონტოვის ქ., ს. საგარდო-პასერბსკისა № 26. (4—3)

კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი

ი. პ. ახალშენიშვილი

(გლისაბედის ქუჩა № 38).

იღებს ავადმყოფებს დილის 8—10-მდე და 11—2 მდე. საღამო საღამობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამობით 5—7 მდე. (წლ.)

ე ქ ი მ ი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

ტფილისის დურგალთა ამხანაგობის
«შრომის» წევრთა

მორიგი კრება,

ამხანაგობის წესდების მე 41 პარაგრაფის თანახმად, წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობის გამო, გადადებულია 1903 წ. 24 აგვისტოს დილის 10 საათისათვის, ამხანაგობის სადგომში (მიხ. ქუჩა სახლი № 156).

განსახილველი საგნები:

1. 1903 წლ. პირველ ნახევრის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება; 2. გამგეობის მოხსენებანი ამხანაგობის საქმეთა გაუმჯობესებისა გამო; 3. სარევიზიო კომისიის წევრთა მოხსენებანი იმავ საგანზე და 4. არჩევანი ახალ წევრთა.

ეს კრება, როგორც განმეორებული, ზემოხსენებულ პარაგრაფის თანახმად კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს, და ყოველ გვარი გარდაწყვეტილებანი სავალდებულო იქნება არ დამსწრე წევრთათვისაც.

ამხ. გამგეობის თავმჯდომარე გ. თოიძე.

გამგეობის წევრნი { გ. ბერძენოვი
ი. რუსიაევი

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დ ი ლ ი თ:

მ. ჭიჭინაძე—კბილისა, 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

ა. გ. მაღალაშვილი. ბავშ. და შინაგ. 10—11 საათ.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვების და წამლობა ელექტრონით 11—1 ს.

მრ. ვ. სოზოლევსკი—ქირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკებით და შაბათობით 1—2 საათ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროსკოპიური გამოკვლევანი 5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს ოთხი საწოლი კრავატი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები—სამი მანათიდან ზემდე.

ადრესი: [illegible] ქუჩა, სახლი აბრამოვისა, № 9, [illegible] ქუჩიდან კი 34 Б.
(წლ.) ტელეფონი № 274.

საზღვარ-გარედ

მაკედონია. ადრიანოპოლის ვილაეტში აჯანყებულთ რაზმებმა ბევრ ადგილი ჩაიგდეს ხელში და ბევრი ტელეგრაფის მავთული გადასჭრეს. ურუმ-კიოდან ვაგ-ზლემდე ოსმალების სადარაჯო რაზმები სულ გასწყვიტეს. ხუთ ადგილას ჯარის ყაზარმები დაანგრიეს. რაც სურსათი და სამხედრო მასალა იპოვეს, აჯანყებულთ სულ თან წაიღეს. ოსმალოს ჯართან მრავალი შეტაკება მოუხდათ და ზოგგან აჯანყებულებმა გაიმარჯვეს. აჯანყებულთ 200—300 ოსმალის ოფიცერი და ჯარის-კაცი მოჰკლეს. აქაური მცხოვრებელი ოსმალები იოლ-წოთ მირბიან ადრიანოპოლსა და სტამბოლს.

◆ სტამბოლის ძველ წყლის მილის საზოგადოებამ მოსთხოვა ოსმალეთის მთავრობას, ჩვენ წყლის მილს მეტი დარაჯი მიუჩინეთო; საზოგადოებას ეშინიან, ვაი თუ აჯანყებულთ მილი დაანგრიონო.

◆ ამას წინად რუსეთისა და ავსტრიის კონსულებმა მოსთხოვეს ოსმალეთის მთავრობას, უსკიუბის ვილაეტში 24 ოსმალი მოხელე უკანონო ქცევისათვის დასაჯეთო. ოსმალეთის მავრობას აქამდე მხოლოდ 9 მოხელე დაუსჯია.

◆ ინგლისის ლიბერალური პრესსა ძვე-ლებურად დიდის თანაგრძნობით ეკიდება მაკედონიელ რევოლიუციონერებს. უმთავრესი ლიბერალური გაზ. „დეილი ნიუს"-ი თითქმის ყოველ დღე მოწინავე წერილებს უძღვნის მაკედონიის საქმეს. ერთ წერილში გაზეთი ამბობს: „გაზეთებში ბევრი ცნობა იბეჭდება იმის თაობაზე, რომ აჯანყებულნი სამაგიეროს უხდიან და სასტიკად ექცევიან ოსმალებსა და გამცემელ ქრისტიანებსაო, მაგრამ ამავე ცნობიდანა სჩანს, რომ აჯანყებულნი ქალებსა და ბავშვებს არაფერს უშავებენ. ერთის სიტყვით, აჯანყებულნი ისე იქცევიან, როგორც ყველა მოთმინებიდან გამოსული და სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ხალხი იქცევა ხოლმე. მხოლოდ გულ-ქვა კაცი გამტყუნებს აჯანყებულთ; თუ აჯანყებულნი ვისმეს ჰკლავენ ან უშავებენ რასმეს—ამისი პასუხი სულ ოსმალეთის მთავრობას უნდა მოეთხოვოს. სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში ჩვენ რიგ-რიგისათ ბევრი ხალხი გავანთავისუფლეთ ოსმალთ მონობისაგან. მართალია, ეს ახალი სახელმწიფოები იდეალური სახელმწიფოები არაა, მაგრამ ოსმალეთს მაინც ისე სჯობიან, როგორც დღე—ღამეს... ბედიცა და სიმართლეც მაკედონიის მხარესაა, ეს ისეთი ძალაა, ნომ საუკუნოდ როდი მოიცდის და საუკუროდ როდი მოითმენს".

◆ ამას წინად დეპეშებმა გვაცნობეს, მაკედონიის რევოლიუციონურმა კომიტეტმა მაკედონიელთ მოთხოვნილება დაწვრილებით ასწერა და დიდ სახელმწიფოებსა და ოსმალეთს გაუგზავნა. ყველაზე წინ ეს პროტესტი ინგლისურმა გაზეთებმა დაბეჭდეს და გაარჩიეს. „დეილი ნიუს"-ი ამბობს, მაკედონიელთ მოთხოვნილება მეტად მარტივია; პროექტი ძლიერ გონივრულადა და ზომიერადაა შედგენილი. მაკედონიელები ოსმალეთისაგან დამოუკიდებლობას კი არა, მარტო ავტონომიას თხოულობენ. მაკედონიელები თხოულობენ, ევროპის ოსმალეთი (ვილაეტები: სალონიკი, მონასტირი, უსკიუბი, სკუტარი, იანინა, ადრიანოპოლი) 4 პროვინციად გაიყოს: მაკედონია, ალბანია, ძველი სერბია და ფრაკია. ეს პროვინციები ხონთქრის სამხედრო და პოლიტიკურ მმართველობის ქვეშ დარჩება. პროვინციების

ფელეტონი

პატარა ამბები

(საკვირაო ფელეტონი)

ერთი პატარა ამბავი თედორეს შესახებ

თედორე ბედნიერ კაცად სთვლიდა თავის თავს. მართალია, არც განათლებული პირი იყო, არც რაიმე თვალსაჩინო თანამდებობის მოხელე, არც მდიდარი, მაგრამ თავის ბედის კმაყოფილი იყო, და ბედნიერება ხომ კმაყოფილებაა, სხვა არაფერი, როგორც ერთხმად აღიარებენ ძველნი და ახალნი „ფილოსოფოსნი". რასაკვირველია, ყოფილან წინადაც და, განსაკუთრებით, დღესაც ბევრია ისეთი, რომელთაც ადამიანის უძვირფასეს თვისებად უკმაყოფილება მიაჩნიათ და რომელნიც სულ იმას გაიძახიან: ვაი იმ საზოგადოებას და ერს, რომელიც კმაყოფილია, რადგან კმაყოფილი ერი და საზოგადოება იხრწნება და იღუპებაო! მაგრამ ასეთი ადამიანები ახირებული ხალხია, მოუსვენრობის სენით არიან შეპყრობილნი და ქვეყანაზე იმიტომ გაჩენილან, რომ კაცობრიობას მყუდრო ცხოვრება და ტკბილი ძილი მოუსპონ, თითქოს რამე იყოს ძილზე უკეთესი, ნამეტურ თუ ძილში სასამო სიზმრებს ხედავ კაცი: ძილი უგრძნობლობაა და იმას რაღა ემჯობინება, რომ არავითარს მწუხარებას არ გრძნობდე, არავითარს შევიწროებას, არავითარს უღელს, არავითარს მონობას, სულის შეხუთვას, არც შიმშილს, არც სიტიტვლეს, არც სიცივეს, არც სიკვდილის მოახლოვებას! ტკბილი არ არის ასეთი ცხოვრება—ძილი? მაშ, იძინე, მკითხველო! იძინე, რადგან შენ გამოფხიზლებული ცხოვრება არ გიყვარს...

უკაცრავად, საგანს გადავცდი. თუმცა ისიც-კია, რომ მე მოთხრობას არ ვსწერ და პიეზიის კანონები ჩემთვის სავალდებულო არაა. ბევრი, ბევრი რამ შექმნილა დღეს სავალდებულოდ და პოეზიის კანონებს კიდევ ვერ ავიკიდებ ტვირთად. ღვთის წყალობით პოეზიას პოლიციელები და „დვორნიკები" არა ჰყავს!

თედორე ბედნიერი იყო: თვეში ოცი მანეთი ჯამაგირი ჰქონდა, მისი ცოლი მრეცხავი იყო და თუმცა დრო-გამოშვებით რეცხავდა, მაგრამ 10—12 მანეთს მაინც შოულობდა თვეში მისი ერთად-ერთი შვილი ზეინკალთან იყო შაგირდად. თედორეს ვახშამი ჰქონდა და სადილი. თავშესაფარი, ჰყავდა ცოლი და შვილი. ფეხშიშველი არ დადიოდა, ტანზე ეცვა. ერთს სახელმწიფო დაწესებულებაში „სტოროჟად" მსახურობდა, ბევრს ამუშავებდნენ ძლიერ, ცუდად, დაცინვითაც ეპყრობოდნენ, როგორც ჩამომავლობით არა-რუსს, მაგრამ ყველაფერს ითმენდა ქართველურის მოთმინებით. თუ უწყრებოდნენ, ავიწროებდნენ, ეს სამართლიანად მიაჩნდა, რადგან, რის ბატონები არიან, თუ არ შემავიწროებენო.

ერთხელ-კი მოინდომა თედორემ, ამაღლებულიყო, მეტის ღირსებით და პატივისცემით ყოფილიყო შემოსილი. შეცდა ერთხელ და შემდეგ დიდს საგონებელში ჩავარდა: არ იცოდა, ჰქონდა იმის უფლება თუ არა, რომ უბრალო ღირსება მოეთხოვა თავისთვის, და თუ ჰქონდა, რად წაართვეს, რად იცვნეს უღირსად?

კვირა დღე იყო; თედორე ალექსანდრეს ბაღში შევიდა, ბაღის ქვედა ნაწილში, სადაც უბრალო ხალხი იყრის თავს: ხელოსნები, მუშები, მზარეულები, ლაქიები, გამდელები, მოსამსახურე გოგოები. თედორეს სახლი კარგა შორს იდგა, ამიტომ დაღლილი იყო და დასასვენებლად იქვე შემოსასვლელ კარებთან დაჯდა. თვალი გადაავლო ბაღის ხეებს, სხვა-და-სხვა ფერებმა თვალები გაართეს და თედორეს ემხიარულა. გადახედა ბაღში აგებულ ეკკლესიებს და სახეზე პირჯვარი გადაიწერა ნიშნად მადლობისა და კმაყოფილებისა. ცოტა რომ დაისვენა, გამვლელ გამომვლელ და სკამებზე მჯდომ ხალხს დაუწყო თვალიერება და ყურის გდება.

მძიმე ტვირთს და მწარე ცხოვრებას თავისი კვალი დაემჩნია ყველასათვის. თედორემ დაინახა, რომ ერთს ძირ-გამოგლეჯილი ჩექმა ეცვა, მეორეს შალვარი გახეოდა მუხლებზე და ძალა-უნებურად ხელებს იფარებდა ზედ, მესამეს ისეთი გამხმარი და მოწყენილი სახე ჰქონდა, რომ ეტყობოდა, დიდი ხანია, კარგად არ გამომძღარიყო ერთი ვიღაც ახალუხა ხნიერი განზე დასეირნობდა მარტო,—გაკოტრებული ვაჭარი თუ იყო, წარსულს თუ იგონებდა. მოსამსახურენი ერთმანეთს უჩიოდნენ: მასპინძლები გაგვიეშმაკდნენ, ნამეტანს ბევრს გვამუშავებენ და ქირას კი არ გვიმატებენო. ვიღაც ოსი ძიძა იმას ტიროდა, რომ სამი წელიწადია სახლში არ ვყოფილვარ და ნებას არ მაძლევენ, ერთის კვირით მაინც წავიდეო. მუშები და ხელოსნები ერთ რიგში ისხდნენ სკამებზე. ოხუნჯობდნენ, ისე ხმა-მაღლა ლაპარაკობდნენ, თითქოს მთელი ქალაქი მათი ყოფილიყოს, ლანძღავდნენ ქარხნებისა და სახელოსნოების პატრონებს და სამართლიან ტკბილ ცხოვრებას შენატროდნენ. სასოწარკვეთილებას არ მისცემოდნენ, მხნეთ იყვნენ, მოურიდებლად სწყევლიდნენ თავის მდგომარეობას.

თედორე სავსებით და ცხადათ არ იკვლევდა, თუ რად იყო სულ ეს ამდენი ხალხი უკმაყოფილო. უკმაყოფილო იყო, ეს

ეროვნული

დაცვა ოსმალეთის ჯარს უნდა დაევალოს, მაგრამ პოლიციაში ადგილობრივი ხალხი უნდა მსახურებდეს და არა საერთაშორისო რაზმები. ადგილობრივ მილიციას უნდა დაევალოს, ქრისტიანები ოსმალებისაგან დაიცვას. პროვინციების უმაღლეს კომისარად ექვსმავე დიდმა სახელმწიფომ ევროპიელი უნდა დანიშნონ სამის წლის ვადით; უმაღლესი კომისარი ოთხსავე პროვინციას ჰმართავს; ყოველ პროვინციას თავისი საკუთარი გენერალ-გუბერნატორი და ადმინისტრაციული საბჭოც ეყოლება; გენერალ-გუბერნატორი და საბჭოს წევრნი უსათუოდ ევროპიელები უნდა იყვნენ. გენერალ-გუბერნატორებს ოსმალეთის მთავრობა დაჰნიშნავს სახელმწიფოთა თანხმობით. ადმინისტრაციულ საბჭოს ადგილობრივი დელეგატები ეხმარებიან. დელეგატებს ირჩევს ადგილობრივი ხალხი, ეროვნებისა და სარწმუნოების განურჩევლად.

◆ ამას წინად დეპეშებმა ცნობა მოიტანეს, სადგურ კულელი-ბურგასის ახლო აჯანყებულთ ვენიდან სტამბოლში მიმავალი პირდაპირი მატარებელი ჯოჯოხეთის მანქანით ააფეთქესო. დღემდე ვერ გაუგიათ, თუ სად და როგორ შეიტანეს ვაგონში ეს მანქანა. მანქანა სამზარეულო ვაგონში ყოფილიყო დამალული ნახშირ ქვეშ. მანქანა ან ნახშირთან ერთად შეუტანიათ ვაგონში, ან მზარეულის შეგირდს შეუტანია. მზარეულის შეგირდზე იმიტომ აიღეს ეჭვი, რომ შეგირდი ფილიპოპოლის სადგურზე მატარებლიდან გადახტა და სადღაც დაიმალა. ამ აფეთქებას უფრო მეტი ხალხი უმსხვერპლია და დაუშავებია, სანამ პირველად ეგონათ. მოკლულთა და დაშავებულთა შორის ყველაზე მეტი ოსმალელ ჯარის-კაცების ცოლები ყოფილან. ქმრებს ადრიანოპოლიდან სტამბოლში გაეგზავნათ ცოლები, იქ უფრო უშიშრად იქნებითო.

ინგლისი. იქით კვირია შოტლანდიაში არგაილშირის საგრაფოში დამატებითი არჩევანი მოხდა: დეპუტატთა პალატის წევრი უნდა აერჩიათ. დეპუტატად ლიბერალი ესვორტი აირჩიეს 4,326 ხმით; ამისმა მოწინააღმდეგემ უნიონისტმა სტიუარტმა მხოლოდ 2,740 ხმა მიიღო. წარსულ არჩევნის დროს უნიონისტი დეპუტატი 600 ხმის უმეტესობით იყო არჩეული. ასე რომ ლიბერალებმა კიდევ ერთი მეტი ადგილი შეიძინეს დეპუტატთა პალატაში. ამ არჩევანს საზოგადო მნიშვნელობაც ჰქონდა. ეს პირველი არჩევანი იყო მას შემდეგ, რაც ჩემბერლენმა თავისი სადამოჟნო პროექტი გამოაცხადა. ეტყობა, არგაილშირის ამომრჩევლებს არც თუ ძლიერ მოსწონებიათ ჩემბერლენის რეფორმა.

◆ ჩემბერლენს სადამოჟნო რეფორმის თაობაზე უნიონისტ კანდიდატის უელსფორდისათვის წერილი მიუწერია. (უელსფორდი მუშების ოლქის კრუს კანდიდატია). ამ წერილში მინისტრი აცხადებს, რამწამს მუშები საფუძვლიანად შეისწავლიან ჩემ პროექტს, მაშინვე მიხვდებიან, რომ ეს პროექტი მუშებისათვის სასარგებლო იქნება. ჩემბერლენი სწერს: „მუშებისათვის ყველაზე მეტად ისაა საჭირო, რომ საქმე და სამართლიანი სამუშაო ქირა ჰქონდეთ მუდამ; თუ ეხლანდელი სატამოჟნო წესები არ შეიცვალა, მუშების უმთავრესი საჭიროება რიგზე არ იქნება დაკმაყოფილებული".

◆ სამხრეთ-აფრიკის ომის დროს ინგლისის ხალხმა აშკარად დაინახა, რომ ინგლისის სამხედრო საქმეები რიგზე არა ყოფილიყო მოწყობილი. ომი გათავდა თუ არა, პარლამენტმა კომისია აარჩია და ამ საქმის გამოკვლევა მიანდო. ამ კომისიამ საქმე საფუძვლიანად გამოიძია, მოხსენება შეადგინა და წარსულ კვირას გამოაცხადა კიდეც.

მოხსენებაში ნათქვამია, ფელდმარშალმა უოლსლეიმ სამხრეთ-აფრიკის ომისათვის არაფერი პლანი არ შეადგინაო; უმთავრეს გენერლებს მხოლოდ სიტყვიერად მისცა ინსტრუქციებიო; მზვერავთა დეპარტამენტის ცნობებს უოლსლეიმ არაფერი ყურადღება არ მიაქცია. მთავრობა სრულებით არ დაემზადა ომისთვის, თუმცა კარგად იცოდა, რომ ბურები საომრად ემზადებოდნენ. სამინისტრომ რიგზე არ ასწონ-დასწონა, თუ რა შედეგი მოჰყვებოდა იმის პოლიტიკასაო. კომისიას გამოჩენილი გენერლებიც ულაპარაკნია ამ საქმეზე. გენერლებს სამინისტროს შეცდომები სულ თითო-თითოდ აუნუსხავთ. სამხრეთ-აფრიკის ჯარის მთავარ-სარდლად ნამყოფს ფელდმარშალ ლორდ რობერტს სამხედრო სამინისტროს წინააღმდეგ ნამდვილი ბრალმდებელი ოქმი შეუდგენია. უოლსლეის და ბულერს უთქვამთ, წინადვე ვიცოდით, რომ ბურებთან უსათუოდ ომი მოგვიხდებოდაო. ბულერს მაშინდელ სამხედრო მინისტრ ლორდ ლანსდოუნისათვის უთქვამს, თავდაპირველად ორანჟის რესპუბლიკა უნდა გავილაშქროთ, მაგრამ მინისტრს ყურიც არ დაუგდია ბულერისათვის. გენერალ კიტჩენერს უთქვამს, ჩვენი ოფიცრები რიგზედ არ იყვნენ მომზადებულნი, არც თუ მთავარი შტაბი იქცეოდა რიგზეო.

საფრანგეთი. სენის დეპარტამენტის დეპუტატმა დიუბუამ სამხედრო მინისტრ ანდრეს წერილით შეატყობინა, სამხედრო საკრებულოები, ნამეტნავად პარიზში, მეტად დაუდევნელადა ჰსინჯვენ ახალ ჯარის-კაცებსაო. თითო ჯარის-კაცის გასინჯვას საშუალოდ ნახევარ წამის მეტს არ უნდებიანო. საკრებულოები მეტად სუსტ, ჰლექიან ყმაწვილ-კაცებს იყვანენ სამსახურში. ამის გამო ჯარში ჰლექი გაძლიერდა. რადა თქმა უნდა, რომ ეს სენი ჯარიდან მოქალაქეებსაც გადაედებაო. დეპუტატი სწერს, პარლამენტის სესიის განახლების უმალ სამხედრო მინისტრს დავეკითხები, რა ღონისძიებას მიიღებს ჯარისა და მთელის ხალხის ინტერესის დასაცველადაო.

გერმანია. სოციალ-დემოკრატთა გაზ. „ფორვერტს"-ის რედაქტორი ამ დღეებში მისის უდიდებულესობის შეურაცხყოფისათვის დააპატიმრეს. „ფორვერტს"-ი სწერს, „იმპერატორ ვილჰელმის შეურაცხყოფა [illegible] არ გვნდომებია, ჩვენ მხოლოდ გამოვაცხადეთ, რომ კუნძულ პიხელსვერდერზე იმპერატორისათვის სასახლის აშენებას აპირებენო. ზოგიერთმა წარჩინებულმა კარის-კაცმა პირდაპირ უარ-ჰყო ეს ცნობა: მაგნაირი განზრახვა არავის არა ჰქონიაო. ჩვენ მარტო ამ კარის-კაცების ქცევა [illegible]. გაზეთი მომეტებულ ნაწილად სასახლის მარშალს ტროტს უჩივის. „ფორვერტს"-ი იმუქრება, როცა ჩვენის რედაქტორის საქმეს სასამართლოში გაარჩევენ, ტროტს უსათუოდ მოწმედ დავიბარებთ და დავამტკიცებთ, რომ 1) სასახლის [illegible]რეებს ნამდვილად განზრახვა აქვთ იმპერატორისათვის კუნძულ პიხელსვერდერზე სასახლე ააშენონ, 2) კარის-კაცებს ეს სასახლე იმპერატორის უშიშრობისათვის საჭიროდ მიაჩნიათ, 3) განზრახვა აქვთ, კუნძული ეხლანდელ მესაკუთრეებისაგან შეისყიდონ, 4) კუნძულზე ცალკე საადმინისტრაციო და საარჩევანო ოლქის დაწესებას აპირობენ: კუნძულზე ცხოვრების ნება მარტო იმპერატორის სახლობასა და კარის-კაცებს ექნებათ, 5) კუნძულზე იმპერატორის განსაკუთრებული გვარდია იქნება დაწესებულიო.

◆ სოციალ-დემოკრატების გამარჯვებამ ისე შეაშინა რეაქციონერები, რომ კონსერვატორები და ცენტრის პარტია (კათოლიკეები) უფრო და უფრო უახლოვდებიან ერთმანერთს. ორსავე პარტიის მეთაურებიც ხელს უწყობენ ამ შეერთებას. კონსერვატორები ჰფიქრობენ, ცენტრის შემწეობით თავად-აზნაურთა ინტერესებს უფრო კარგად დავიცავთო; ცენტრსაც იმედი აქვს, კონსერვატორები ჩვენის კლერიკალურ პროგრამის ასრულებას დაეხმარებიანო.

რადა თქმა უნდა, რომ ოპოზიციას, თავისუფალ მოაზრეებს და სოციალ-დემოკრატებს ჭკუაში არ მოსდით რეაქციონერების დაახლოვება. ოპოზიციას ეხლა კარგი მოკავშირე გამოუჩნდა. მთავრობა იეზუიტების წინააღმდეგ გამოცემულ კანონების გაუქმებას აპირობს. მთავრობის ამნაირმა განზრახვამ ყველა გულწრფელი პროტესტანტი აალელა და ფეხზე დააყენა. ესენიც გადაუდგნენ და აუჩივლდნენ მთავრობას. ერთის სიტყვით, რეაქციონერების დაახლოვებამ ყველანი დააფიქრა, თუმცა კი რეაქცია საბოლოოდ ვერას დროს ვერ გაიმარჯვებს გერმანიაში; აქ ყველამ იცის, რომ რეაქციონერთა კავშირი მხოლოდ ოპოზიციის და ნამეტნავად სოციალ-დემოკრატების გაძლიერებას შეუწყობს ხელსა.

ახალი ამბავი

◆ გუშინ, 23 აგვისტოს, ტფილისი დილიდან საღამომდე უწყლოთ იყო. ამის გამო დიდად შესწუხდნენ ქალაქის ის მცხოვრებნი, რომელთაც წინათვე საკმაო წყალი არა ჰქონდათ [illegible]. მიზეზი ისა ყოფილა, [illegible] გერმანელთა კოლონიაში, ალექსანდერდორფს ნაშუაღამევის ორ საათზე **გამსკდარა წყლის მთავარი მილი.** წყლის მილის მეთვალყურემ მაშინვე დააყენა ქალაქის ტეხნიკოსები მილის შესაკეთებლად.

◆ ამას წინად **ავლაბრის 80 მცხოვრებმა**, რომელთა შვილებიც ადგილობრივ სამ-კლასიან საქალაქო სკოლაში სწავლობენ, სთხოვეს გამგეობას, შემწეობა აღმოუჩინოს ამ სკოლას, რომ საკმაო სახლი დაიქირაოს და პარალელური განყოფილებანი არ დაიხუროს. ქალაქის სასწავლებელთა კომისიამ ეხლახან განიხილა ეს თხოვნა, მაგრამ შეწყნარების ღირსად ვერა სცნო.

◆ ტფილისის დედათა პირველ გიმნაზიის დირექტორის ხელმძღვანელობით გიმნაზიასთან შესდგა განსაკუთრებული კომისია, რომელმაც ეგზამენი უნდა დააჭერინოს და ოთხი კლასის კურსის დასრულების **მოწმობა მისცეს იმ ქალებს**, რომელნიც მოისურვებენ საბებიო ინსტიტუტში შესვლას. მსურველთ თხოვნები მოწმობებთან ერთად უნდა წარუდგინონ გიმნაზიის დირექტორს. ეგზამენები დაიწყება 3 სექტემბრიდან. ეგზამენის დამჭერს გადახდება 5 მანეთი. ვინც სიღარიბის მოწმობას წარადგენს, სასყიდელს არ გამოართმევენ.

◆ 22 აგვისტოს ევლახის სადგურის ისართან **ერთმანეთს დაეტაკა საქონლის ორი მატარებელი.** დაიმსხვრა ორი ორთქლ-მავალი და 22 ვაგონი. კაცი არავინ დაშავებულა.

◆ ბაქოში, როგორც „კას". გადმოგვცემს, ზოგიერთ ნავთის მწარმოებელთ განუზრახავთ **მუშათათვის სამაგალითო სასადილოების მოწყობა.** სადილი ეღირება 7—8 კაპეიკად.

◆ როგორც აღნიშნული გვქონდა, ტფილისის **საბაღოსნო სკოლის გამგის ადგილი განთავისუფლდა**, რადგან ივანოვი ქუთაისის რეალურ სასწავლებელში გადაიყვანეს. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭო მსურველებს იწვევს გამგის თანამდებობაზე.

◆ 22 აგვისტოს ტფილისის **ხორცის დუქნების გამგე კომისიამ** განიხილა და უარ-ჰყო სააუქციონო ზალის გამგის მოხსენება. გამგე თხოულობდა, ნება მისცემოდა, რომ ტყავეულობა საჯარო ვაჭრობით გაეყიდნა. კომისიამ არ შეიწყნარა აგრეთვე განცხადება დიდუბის მცხოვრების თუმაევისა, რომელმაც ითხოვა, ხორცის დუქანი ჩემს სახლში მოათავსეთო. კომისიას უნდა დუქანი რკინის გზის სადგურის მახლობლად გამართოს. შემდეგ კომისიამ დაადგინა დაავალოს ქალაქის ბეითლებს შემუშავება სავალდებულო დადგენილებისა ხორცის ხარისხებად დაყოფის შესახებ.

◆ ჰფიქრობენ, ტფილისის მიხეილის **საავადმყოფოსთვის ახალი შენობა** აავონ.

აშკარად სჩანდა, მაგრამ რისთვის, რა მიზეზისთვის? ამის გამოკვლევისთვის არ იწუხებდა თავს და კიდეც რომ შეეწუხებინა, ვერაფერს მიხვდებოდა, ალბად.

თედორემ ძალა-უნებურად შეადარა მათ უკმაყოფილებას თავისი კმაყოფილი მდგომარეობა და პირუტყვული, ეგოისტური სიამოვნება იგრძნო, რომ სხვებს ვჯობნივარ, სხვებზე უკეთესი ვარ: არ მშიან, არ მწყურიან, დარდი და ნაღველი არ მაქვსო. თვალ წინ წარმოუდგა ცოლი, შვილი, ბინა, თავისი ჯამაგირი და კინაღამ გაიცინა. მხრები შეანძრია და მაგრად და ფართოდ დაჯდა სკამზე, თითქოს მეტის ადგილის უფლება ჰქონოდა. კვლავ გადაავლო თვალი ყველას და ღმერთი ახსენა, მადლობა შეუთვალა მოწყალებისათვის, გულკეთილობისა და სამართლიანობისათვის.

რასაკვირველია, იმის გაგების ჭკუა არ ჰქონდა, რომ თუ ღმერთი სამართლიანი, კეთილი, მოწყალე იყო, რატომ მხოლოდ მისთვის, თედორესთვის? რად იყო დარჩენილი ამდენი ხალხი „ულვთოდ", უსამართლოდ? რად შიოდა, რად სწყუროდა, რად ციოდა მრავალს? რად იტანჯებოდა ამდენი ადამიანი? რისთვის არ იყო ღმერთი ყველასათვის თანასწორი, ყველასათვის სამართლიანი, ყველასათვის ერთნაირად კეთილი და მოსიყვარულე? რისთვის არ მისცა ყველას ერთნაირად პური და ბინა, შრომა და ტვირთი? რისთვის გახადა ზოგნი ბატონებად, ზოგნი—მონებად?...

თედორე ამისთვის თავს არ იწუხებდა. ღმერთი მარტო მისთვის არსებობდა და რაკი თვითონ კმაყოფილი იყო, ღმერთიც სამართლიანი იყო. მაგრამ განა გასამტყუნარია თედორე? დღეს ღვთის სახელით და ღვთის მსახურთა შემწეობით ათასი უსამართლოება დაკანონებული, ღვთის „სადიდებლად" ადამიანებს ენას უსპობენ, ეკკლესიებს ძარცვავენ! ხალხებს ამუნჯებენ! გაიხსენეთ იეზუიტები! ევროპის ყოველი მხედრობა, რომლის დანიშნულებაა სისხლის ღვრა და მტრობა, ქრისტეს მოყვარე მხედრობას უწოდებს თავის თავს და ომის დაწყების წინ იესოს მიმართავს „მხურვალე" ლოცვით: „იესო! შენ დაგვეხმარე და შეგვიწყე ხელი, რომ რაც შეიძლება, მეტი მტერი გავწყვიტოთო"! ასე მიმართავენ იმ იესოს, რომელიც მხოლოდ იმიტომ იწამა, ჯვარს ეცვა, რომ სიყვარულს და ძმობას ქადაგებდა კაცთა შორის...

ისედაც კმაყოფილი თედორე კიდევ მეტად კმაყოფილი იყო, როდესაც სხვების გაჭირვებას და სილატაკეს ხედავდა. მაღლა ასწია თავი, უფრო გაიმართა წელში და მედიდურად და ამაყად გადახედა ყველას და სულ სხვად, განსხვავებულ პირად იცნო თავისი თავი იმ ადამიანებს შორის, რომელნიც მის გარშემო ისხდნენ, თუ დადიოდნენ. „თედორეს არა უჭირს-რა, ესენი კი გაჭირვებულნი არიან! თედორეს ამაღამ ვახშამი აქვს, თედორეს ცოლი ჰყავს, თედორეს ოცი მანეთი ჯამაგირი აქვს, ამათ?..."

კვლავ მადლობით ახსენა ღვთის სახელი და ადგა, თითქოს სირცხვილი ყოფილიყო და უცხო მისი აქ დარჩენა. გაიარა, იქითკენ წავიდა, სადაც არავინ იყო. ამ დროს სამხედრო მუსიკის ხმა მოესმა ბაღის ზედა ნაწილიდან. რაღაც მხიარულ მარშს უკრავდნენ. თედორე უფრო გამხიარულდა, გამხნევდა და გამარჯვებულის გენერლის სახის გამომეტყველება მიიღო.

რასაკვირველია, თედორეს ადგილი უფრო იქ იყო, სადაც მუსიკას უკრავდნენ და სადაც, ალბად, უფრო წარჩინებული ხალხი დასეირნობდა. თედორე ზევითკენ წავიდა. სწორი გზა რომ გაიარა და მოსახვევთან მივიდა, დაინახა, რომ აღმართზე ულვაშებ გადაგრეხილი პოლიციელი იდგა და ზოგიერთებს არ უშვებდა ბაღის ზედა ნაწილში: თუ ვისმე შესაფერი სახე და ტანისამოსი არ ეცვა, უბრალო ვინმე იყო, ზედა ბაღში ასვლას უკრძალავდა, რომელიც „წმინდა" საზოგადოებისთვის იყო დანიშნული.

თედორე უცბად ვერ მიხვდა, რაც ამბავი იყო, მაგრამ როდესაც მიხვდა, ძალიან ეამა. დარწმუნებული იყო, რომ თვითონ „წმინდა" საზოგადოებას ეკუთვნოდა. ცოტას მაინც შეჩერდა და ახედ-დახედა თავის ტანისამოსს: აბრეშუმის ბლუზა ეცვა და ზედ პიჯაკი; ჩექმები ორ ალაგას იყო დაკერებული, მართალია, მაგრამ სუფთად ჰქონდა გაწმენდილი; თავზე რუსული ქუდი ეხურა. უეჭველია, აუშვებდენ ზევით.

თედორემ დიდის დაკვირვებით დაუწყო ყურება, აბა ვის გაუშვებდა და დააკავებდა პოლიციელი. მოვიდა ერთი ქართულად გამოწყობილი ვაჭარი. კარგად, სუფთად ეცვა, მაგრამ პოლიციელმა უკან დააბრუნა. თედორე გულში დაეთანხმა პოლიციელს და მოიწონა მისი გადაწყვეტილება. „რუსობაა, ფიქრობდა: ყველაფერი რუსულ წესზე უნდა იყოს და ყველაფერს რუსული ხასიათი უნდა მიეცეს და რაც რუსული არ არის, იმას პატივისცემა რად უნდა ჰქონდესო!"

პოლიციელმა თავისუფლად გაუშვა პიჯაკში გამოწყობილი მოსეირნენი და თედორემ სრულ სამართლიანობად აღიარა ეს. ეც. გამოიარა ქართულად მორთულმა ქალმა და თედორემ წინდაწინვე გაიცინა: დედაკაცი ყოველთვის სულელია, როგორ არ იცის, რომ არ გაუშვებენო. მაგრამ მის საუბედუროდ, პოლიციელმა ხმა არ გასცა დედაკაცს, რომელიც თავისუფლად ავიდა ზევით. თედორე გაოცდა, ვერ გაიგო, თუ რითი ხელმძღვანელობდა პოლიციელი, რომ ქართველი დედაკაცი არ დააკავა. ეს დიდ უწესოებად მიაჩნდა და ძალიან გაჯავრდა პოლიციელზე. პოლიციელმა დააკავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუამდგომლობა ამის შესახებ აღუძრავთ კიდეც.

◆ **სოფ. რუისიდან გვწერენ:** „თითქმის ერთი თვე იქნება, რაც აქ გაჩნდა რაღაც ავადმყოფობა საქონლისა; იქნება ციმბირის ჭირიც იყოს; ერთობ უცებ ხოცავს საქონელს. პატრონი არავინა ჰყავს სოფელს, თორემ აქამდე ბეითალს როგორ არ გამოჰგზავნიდნენ. ჩვენი მამასახლისი ყურსაც არ იბერტყავს. უბედურება კიდევ ის არის, რომ შეუგნებელი ხალხი ჰკლავს ავადმყოფ საქონელსა და სჭამს. ვაი თუ ხალხსაც გადაედოს ეს რაღაც სენია. აუცილებლად საჭიროა, ეხლავე გამოიგზავნოს ბეითალი“.

◆ **ყვირილიდან გვწერენ:** 18 აგვისტოდან აქეთკენ გამუდმებით წვიმს და ძლიერაც აცივდა. მისაღები და განმეორებითი ეგზამენები საქალაქო, ნორმალურ და სხვ. სასწავლებლებში იწყება 25 აგვისტოდან. თეატრის შენება შეაჩერა ადმინისტრაციამ ეს ერთი კვირაა. მიზეზად ასახელებენ შენობის გეგმის დაუმტკიცებლობას. საზაფხულო თეატრი ივლისშივე დაჰქციეს, რის გამო 13 ივლისიდან აქ არც წარმოდგენა გვქონია და არც სხვა რამე გასართობი“.

◆ ამას წინად „ნოვ. ობოზ.“-დან გადმოვბეჭდეთ ამბავი იმ შეტაკების შესახებ, რომელიც მოსვლიათ ყაზახებსა და მცხოვრებთ თერგის ოლქის სოფ. ეკაჟევოში. ამ ამბის შესახებ ეხლა „ტიფ. ლის.“-ს სწერენ: „15 აგვისტოს სოფ. ეკაჟევოში თვალსაჩინო შეტაკება მოხდა, რომელშიაც ჯარმაც მიიღო მონაწილეობა. სუნჟენის ნაწილის ატამანმა ამბავი მიიღო, რომ იარაღ აყრილ სოფელს ეკაჟევოში ბევრი იარაღია დამალული და იქვე იმყოფება ციმბირიდან გამოქცეული ყაჩაღი ისლამ სანტალიევიო. ხსენებულ სოფელში გაჰგზავნეს ბანაკიდან ექვსი როტა ყაზახთა ჯარისა. სოფელი შუა ადგილას ხევით არის გაყოფილი, სადაც ხშირი და მაღალი ბალახია. რამწამს ჯარის ნაწილი ამ ხევში ჩავიდა, ბალახებიდან თოფი გავარდა და ერთი ყაზახი, სასიკვდილოდ დაჭრილი, დაეცა. ყაზახებმაც სროლა დაიწყეს იქითკენ, საიდანაც თოფი გავარდა. აი, შედეგი ამ შეტაკებისა: სანტალიევმა მოჰკლა ორი ყაზახი, სახლის ფანჯრიდან დასჭრეს ყაზახის ცხენი. ყაზახებმა ტყვიით დასჭრეს ერთი მცხოვრები. ყაჩაღი სანტალიევი ექვსის ტყვიით მოკლული აღმოჩნდა. რამდენიმე კაცი დააპატიმრეს და გამოძიება სწარმოებს“.

◆ დღეისთვის დანიშნულია კრება დურგალთა ამხანაგობის „შრომისა“. კრება დაიწყება დილის 10 საათზე.

◆ ტფილისის საკომერციო სასწავლებლის შენობის შეკეთებას დაასრულებენ 25 აგვისტოს, ხოლო 26-დან დაიწყება ეგზამენები. მომავალს კვირაში მოხდება საკომერციო სასწავლებლისა და სავაჭრო სკოლის სამზრუნველო კომიტეტის სხდომა, რომელმაც უნდა აირჩიოს სავაჭრო სკოლის საპატიო მზრუნველი და სამზრუნველო კომიტეტის ერთი წევრი.

◆ მეჯვრის-ხევის სასოფლო-სამკურნალოს გამგედ დროებით დაინიშნა ექიმი ვლიოზიშვილი.

◆ მიწათ-მოქმედების დეპარტამენტმა შეატყობინა მინისტრის რწმუნებულს, რომ ყარსაიზის სადგურის მინდვრის პრაქტიკანტები ა. ივანოვი და ნ. დობრომისლოვი 1 აგვისტოდან დაინიშნენ ინსტრუქტორებად, პირველი ერევნისა, ხოლო მეორე — ბაქოს გუბერნიაში. ინსტრუქტორებს ევალებათ: შეასწავლონ ადგილობრივ მცხოვრებთ ყოფა-მდგომარეობა და საშუალებანი მებამბეობისა, თვალ-ყური ადევნონ მეურნეობის ამ დარგის მოვლა-მოშენებას და ხელი შეუწყონ ამის წარმატებას, გააცნონ მცხოვრებთ ბამბის დამუშავება, ხელმძღვანელობა გაუწიონ სახაზინო მიწებზე ბამბის კულტურის გაძლიერებას და უჩვენონ ხალხს ბამბის მავნებელ მწერებთან საბრძოლველი საშუალებანი.

◆ პოლიციის მე-3 ნაწილში, ხაზინის ქუჩაზე, საწვრილმანოთი და სხვა-და-სხვა სანოვაგით მოვაჭრეებმა გუშინ ქალაქის მოურავს ქაღალდი გადასცეს. სწერენ, პოლიციის მესამე ნაწილის ბოქაულის განკარგულებით, ამ ქუჩიდან გვდევნიან და უნდათ სულ აღარ ვივაჭროთ. რადგან ეს ოცი წელიწადია, ქალაქის გამგეობის ნება-რთვით ამ ადგილზე ვვაჭრობთ და გადასახადსაც ვიხდით, გთხოვთ გამგეობას, ნება მოგვცეს, რომ კვლავ განვაგრძოთ ვაჭრობაო.

◆ ტფილისის საუქციონო დარბაზში ამა წლის პირველ იანვრიდან 22 აგვისტომდე გაუყიდნიათ სულ 22,474 მანეთის ნივთები. ამა ხნის განმავლობაში შარშან გაუყიდულა 29,942 მან. 93 კაპ. ნივთები. მიზეზი შემოსავლის დაკლებისა ის არის, რომ საუქციონო დარბაზი მივარდნილ ადგილზეა და სრულიად მიუდგომელია ქალაქის მცხოვრებთა უმრავლესობისათვის.

◆ ცხინვალის ბოქაული ყანჩელი გადაჰყავთ ზაქათალის ოლქის ბელაქნის ნაწილის უფროსად.

◆ როგორც სასანიტარო-სამკურნალო საბჭოს ანგარიშიდანა სჩანს, ივლისის განმავლობაში ქალაქის ცენტრალურ სამკურნალოში მისულა 2800 ავადმყოფი, რომელთაც სამკურნალო შემწეობით უსარგებლნიათ 6617-ჯერ, ავლაბრის განყოფილებაში ყოფილა 778 ავადმყოფი, უსარგებლნიათ 2105-ჯერ, ხარფუხის განყოფილებაში—175 ავადმყოფი, უსარგებლნიათ—439-ჯერ, კუკიის განყოფილებაში—835 ავადმყოფი. სულ 4586 ავადმყოფი, რომელთაც უსარგებლნიათ 11,227-ჯერ.

◆ 22 აგვისტოს დესიმონოვის ქუჩაზე ბოლოტინის სახლს საღამოს 5 საათზე ცეცხლი გაუჩნდა. ცეცხლი ისე გაძლიერდა, რომ შესამჩნევად დააზარალა მეზობელი სახლები თაიროვისა და ბლეტკინისა. მალე გაჩნდა ცეცხლის-მქრობელი რაზმი, რომელმაც სახლები სრულიად დაწვას გადაარჩინა. ზარალი და აგრეთვე მიზეზი ცეცხლის გაჩენისა ჯერ არ არის გამორკვეული. ბოლოტკინის სახლი დაზღვეულია მოსკოვის დამზღვევ საზოგადოებაში — 85,000 მანეთად.

რუსეთის ქრონიკა

◆ ფეოდოსიაში მუშათა და მათ დამქირავებელთა შორის დამოკიდებულების განწესრიგებისთვის შემდგარმა ექსპორტიორთა კრებამ დაადგინა დაარსდეს მუდმივი მუშათა ბირჟა ნავთ-სადგურთან. დანიშნულია განსაკუთრებული მუშათა სტაროსტა, რომელმაც უნდა თვალ-ყური ადევნოს, რომ მუშები სამართლიანად დაჰყონ სხვა და სხვა სამუშაოზე. განსაზღვრულია მუშაობის დრო. სამუშაო წელიწადი ოთხ ნაწილად დაჰყვეს და თვითეულ სეზონისათვის წინდაწინ დააწესეს განსაკუთრებული ქირა.

◆ 28 აგვისტოს რუსეთის სახელ-განთქმულ მწერალს, მხცოვან ლევ ნიკოლოოზის ძეს ტოლსტოის, შეუსრულდება 75 წელიწადი,

◆ სამხრეთ-რუსეთის რკინის გზების შეთანხმებით შემოღებულია პირდაპირი მიმოსვლა როსტოვსა და ვარშავას შორის. პირდაპირი მატარებელი სადგ. ზნამენკაზე და ფასტოვზე გაივლის. მგზავრებს სხვა მატარებელში გადაჯდომა არ დასჭირდებათ ვარშავამდის.

◆ მოსკოვის ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე ალექსანდრე კარრასი, რომელსაც ჰბრალდება დედისა და ორის დის მოკვლა და გაძარცვა. სასამართლომ დამნაშავედ იცნო კარრა და ათის წლით კატორღაში გაგზავნა მიუსაჯა.

◆ ეკატერინოსლავის გუბერნატორს მიუღია შინაგან საქმეთა სამინისტროდან პროექტი საგუბერნიო დაწესებულებათა რეფორმისა. ამ პროექტით ყველა ადმინისტრატიული-განკარგულებითი საქმეები მოთავსებული იქმნება საგუბერნიო საბჭოში, სადაც წევრებად იქნებიან გუბერნატორის თავმჯდომარეობით ვიცე-გუბერნატორი, გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი და განყოფილებათა უფროსნი. უკანასკნელი თანამდებობანი საგუბერნიო მმართველობის მრჩეველთა თანამდებობის მაგიერ იქნება შემოღებული. სულ ოთხი განყოფილება იქნება: პირველი განკარგულებითი, მეორე განკარგულებითი, სამკურნალო და საამშენებლო.

◆ ლიბავო-რომენის რკინის გზის გამგეობაში არა-ჩვეულებრივი ბოროტ-მოქმედება აღმოუჩენიათ. მოსამსახურენი დაუწერელ უფასო ბილეთების ბლანკებს იპარავდნენ, სწერდნენ ყალბ ბილეთებს და ჰყიდდნენ. ამნაირად მრავალი ბილეთები გაუსაღებიათ. უკვე დიდი ხანია, რაც ამ საქმეს სჩადიან თურმე.

პრესსა

დოქტ. კედროვს მოჰყავს ჟურნ. „რუსკ. ვესტნიკ“-ში ძირითადი პუნქტები სამეურნეო მუშათა მდგომარეობის განწესრიგებისათვის. ავტორის აზრით,

> 1) სავალდებულო სამკურნალო ქსენონთა გამართვა სამეურნეო მუშებისათვის; 2) სხვა და-სხვანაირი საშუალებანი მანქანების მუშაობის დროს უბედურ შემთხვევათა ასაცილებლად (მანქანებს უნდა ჰქონდეს ამისათვის განსაკუთრებული მოწყობილება); 3) მუშებისათვის ადგილიდან-ადგილზე გადასვლის გაადვილება; 4) სავალდებულო გამართვა კარგი სადგომებისა მუშებისათვის; 5) სამუშაო დღის განსაზღვრა; 6) მუშებსა და დამქირავებელთა შორის დამოკიდებულების განწესრიგება; 7) სხვა-და-სხვა ჯარიმების გამორკვევა და განსაზღვრა და 8) მუშათა გამოკვების განწესრიგება.

თეატრი

ტფილისს ჩამოვიდა ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობის მიერ რეჟისორად მოწვეული თავ. აკაკი წერეთელი.

—

დღეს, 24 აგვისტოს, ქართულ თეატრში გაიმართება წარმოდგენა იმათ გამოსაცდელად, ვინც ქართულ თეატრში აპირობენ შესვლას. ორი კვირაა ემზადებიან არტისტის გუნიას ხელმძღვანელობით. წარმოადგენენ „პატარა კახ“-ის მეორე მოქმედებას, „გაცრუებულ იმედები“-ს მეორე მოქმედებას და ვოდევილებს „ადვოკატთან“ და „ბიძია ვანია-“ს.

—

18 სექტემბრისათვის ბერლინი და იმასთან ერთად მთელი გერმანია დიდის ამბით ემზადება. ამ დღეს უნდა აკურთხონ სახელოვან კომპოზიტორის რიხარდ ვაგნერის ძეგლი. დღესასწაულებს საერთაშორისო ხასიათი ექმნება. ამავე დღესასწაულებთან ერთად, ვაგნერის ხსოვნის პატივსაცემლად, გაიმართება საერთაშორისო სამუსიკო კონკურსი. დღესასწაულები დაიწყება 18 სექტემბერს და გასტანს 22 სექტემბრამდე. საორგანიზაციო კომიტეტის წევრად თითქმის ყველა თვალ-საჩინო ერის წარმომადგენელია. 17 ოქტომბერს კომიტეტის თავმჯდომარე პრინცი ლეიდვიგ ფერდინანდ ბავარიელი პარლამენტის დარბაზში მიიღებს დედამიწის ყველა კუთხიდან შეკრებილ სტუმრებს. ამავე დღეს გაიმართება კონცერტი გამოჩენილ არტისტთა მონაწილეობით. შემდეგ გაიმართება სიმფონიური ორკესტრისა და ხორის კონცერტ-პრომენადი. ბოლოს კომიტეტი ვახშამს გაუმართავს სტუმრებს. მეორე დღეს, 18 სექტემბერს, იმპერატორის თანდასწრებით, ძეგლს გახსნიან. იქვე ძეგლთან, 2000 ქალისა და ბავშვისაგან შემდგარი ხორო შეასრულებს „მეისტერზინგერების“ ორ ნომერს. 3 საათზე მოხდება პირველი კრება სამუსიკო კონკურსისა, რომლის შემდეგაც გაიმართება ნადიმი. 19 სექტემბერსაც კრება მოხდება და შემდეგ სამი კონცერტი დილის 11, ნაშუადღევის 3 და საღამოს 7 საათზე. ამ კონცერტებისთვის მოიწვევს შესანიშნავი დირიჟორები ვეინგარტნერი, რიდელი და ნიკიში. 20 სექტემბერს, შაბათს, წარმოადგენენ „მეისტერზინგერებს“. მონაწილეობას მიიღებენ გერმანიის საუკეთესო მომღერალნი. კვირას, 21 სექტემბერს, გაიმართება ორი კონცერტი—დილით და საღამოთი. ამავე დღეს გაიმართება დიდი საერთაშორისო კონცერტი საფრანგეთისა, რუსეთისა, იტალიისა, ინგლისისა და შეერთებულ შტატების დირიჟორებისა და კომპოზიტორების გამგეობით და ამავე სახელმწიფო-

---

ერთი შავგვრემანი ყმაწვილი, რომელსაც პიჯაკი ეცვა, სუფთა კრახმალიანი პერანგი და თავზე საზაფხულო ჰილოფის ქუდი ეხურა. თედორე კიდევ უფრო დაიბნა.

რამდენიმე რუსმა ქალმა და კაცმა ჩამოიარა, ზევით მიდიოდნენ. უბრალო ხალხი იყვნენ, გზაში მზისუმზირას მოიჭამებოდნენ. ქალებს თავსაფრები ეხურათ, კაცები თუმცა პიჯაკებში იყვნენ გამოწყობილნი, მაგრამ უბრალო ჩითის პერანგები ეცვათ. თედორემ ძალიან მოინდომა, წინდაწინვე გამოეცნო, გაუშვებდა მათ პოლიციელი, თუ არა. რუსები იყვნენ,—ეს დიდი და უძლეველი საბუთი იყო თედორესთვის; პიჯაკებიც ეცვათ, მაგრამ პიჯაკიანი არ იყო წეღან რომ დააკავა პოლიციელმა?

პოლიციელმა თავისუფლად გაუშვა ყველანი. გაუშვა ორი ჩოხოსანი თავადიც. უკან დააბრუნა ერთი კარგად გამოწყობილი ყმაწვილი, რომელიც მორიდებით არ გამოელაპარაკა პოლიციელს. თედორემ დაინახა ისიც, რომ პოლიციელმა ხმა გაუცემლად გაუშვა ლურჯ ბლუზიანი ხელოსნები, რომელნიც, ეტყობოდა, მისი ნაცნობი იყვნენ.

თედორეს გზა და კვალი აებნია მთლად. ვერაფერს მიხვდა, ვის აკავებდა პოლიციელი და ვის არა! ვინ იყო უფლებიანი, ვის ქონდა ღირსება და ვის არა?

ყველაზედ უფრო თავისი თავი სტანჯავდა: გაუშვებდა პოლიციელი? კიდევ დააკვირდა თავის ტანისამოსს. უეჭველია, სუფთად ეცვა, მაგრამ... მაგრამ... მაგრამ რა? საქმეც ეგ „რა“ იყო! რა იყო ეგ „რა“? მართალია, თედორე ჩამომავლობით ქართველი იყო, მაგრამ ხომ არ ქართველობდა, რუსობის თაყვანისმცემელი იყო, რუსის დაწესებულებაში მსახურობდა, რუსულად კარგად ლაპარაკობდა, „რუსული“ პიჯაკი ეცვა, რუსული ქუდი ეხურა. მხოლოდ დააფასებდა ყველაფერს ამას პოლიციელი? პატივს სცემდა თედორეს ღვაწლსა და სამსახურს?

ძნელი საკითხი იყო!

სადაც პოლიციელი იდგა, კარგა ბლომად მოეყარა თავი ხალხს; თავს ირთობდნენ იმით, რომ ზოგიერთები შერცხვენილნი ბრუნდებოდნენ უკან. ბარე ორმა თედორეს დაცინვითაც კი უთხრა: რისთვის არ აბრძანდები ზევით, არ გაერევი „წმინდა“ საზოგადოებაშიო. თითქმის პოლიციელიც კი მიხვდა, რომ თედორეს ზედა ბაღში უნდოდა ასვლა.

დიდს გაჭირვებაში ჩავარდა თედორე. თუ ერთი გული ეუბნებოდა, თავი დაენებებინა, მშვიდობით წასულიყო სახლში, აშორებოდა ყოველს განსაცდელს და ხიფათს, მეორე გული უფრო მაგრად და დაჟინებით აქეზებდა წინ წასვლას. „განა ამის ღირსი არა ვარ? ჰფიქრობდა თედორე: რისთვის მაქვს აბა ოცი მანეთი ჯამაგირი, რისთვის მყავს ცოლი, შვილი, მაქვს ბინა, საჭმელი-სასმელი? განა ღმერთი სამართლიანი არ არის? ხელმწიფის კანონი მართალის გზით არ დადის?.. რისთვის არ უნდა ამიშვან ზედა ბაღში, რისთვის არ უნდა გავერიო წარჩინებულ საზოგადოებაში, რისთვის არ უნდა გავიგონო ახლოს მუსიკა?... არა ვარ ამის ღირსი? რად არ უნდა ვიყო?...

„განა ეს პოლიციელი პატიოსანი და ჭკვიანი არ არის? განა სიმართლეს არ იცავს, სამართლიანობას არ ემსახურება? განა ტყუილად დააყენებდა აქ მთავრობა, თუ ღირსეულად დაფასება არ შეეძლოს ადამიანებისა?...“

სასოებით და უსაზღვრო პატივისცემით გადახედა პოლიციელს, რომელიც რაღაც ეჭვის თვალით მიეგება თედორეს ასეთს სასოებას.

თედორე ველარ ითმენდა. სახლში დაბრუნება ყოვლად შეუძლებელი იყო. არა, თედორე ღირსია ზედა ბაღის! როგორ? ვინ დააკავებს, ვინ იქნება ასეთი გიჟი, ასეთი ყრუ, გაუგებარი, უსამართლო?

დედამიწაზედ ყველაფერი წესიერადაა მოწყობილი და ნუ თუ აქ იქნება უწესოება? ფეხზე წამოდგა, ახსენა ღმერთი, გაისწორა ტანისამოსი, ერთი კარგად ჩაახველა და გადადგა წინ ფეხი პოლიციელისაკენ. ყველანი მას მოსჩერებოდნენ. თედორე ხედავდა ამას და მისი გული გასკდომას აპირებდა.

ჯერ უნდოდა, მოწიწებით მისულიყო პოლიციელთან და ეთხოვნა ნებართვა, მაგრამ შეხედა, რომ მის წინ წასული კაცი ისე ავიდა ზევით, რომ ყურადღებაც არ მიუქცევია პოლიციელისათვის. მისი წაბაძვა მოინდომა. ფეხები და ხელები უკანკალებდა; ცდილობდა, თამამად ყოფილიყო, მაგრამ დამონებულ პირუტყვსავით ვერ მოაშორა თვალები პოლიციელს.

რომ მიუახლოვდა პოლიციელს, უკანასკნელმა გააჩერა თედორე და მკაცრად უთხრა: „არ შეიძლება, უკან დაბრუნდი. შენი ადგილი არ არის ზევით“!

თედორე ერთიან გაშრა, გაქვავდა, ფეხი ვერ დასძრა. ვერც-კი გაიგონა ხეირიანად პოლიციელის სიტყვები. არ არის ღირსი? არ არის სამართალი, ღმერთი, კანონი?

„შენ არ გესმის, რას გაშტერებულხარ!— შემოუტია პოლიციელმა:—გასწი აქედან, გაეთრიე“! და ხელი ჰკრა თედორეს.

თედორე მკვდარი, უგრძნობლად გამობრუნდა უკან. ბიჭები ხმა მაღლა დასცინოდნენ: „აფსუს! აფსუს ჩინონიკოო“! თედორეს არ ეყურებოდა. ცივმა ოფლმა დაასხა. ისე მივიდა სახლში, რომ არაფერი არ დაუნახავს, არაფერი არ გაუგონია...

სიტყვა

ების გამოჩენილ არტისტთა მონაწილეობით. დასასრულ 22 სექტემბერს—კონცერტი, საუზმე, მეგობრული პუნში, „სტუდენტთა სიმღერები" და გამოთხოვებასა.

—

ოზურგეთი. ბაღში, ახლად შეკეთებულ „როტონდა"-ში, 19 აგვისტოს, სცენის-მოყვარეთ წარმოადგინეს „ერთი შემთხვევა", კომედია ქურულისა და „ბარაქალა მასწავლებელო!", ვოდ. საფაროვისა. ლადო გიმნაზიელის როლი შეასრულა ქ-ნმა მდივანმა. ხალხი ცოტა დაესწრო. ან კი როგორ დაესწრებოდა, როცა ორი თვეა, სულ კოკის-პირული წვიმებია, მუდამ ელვა, ჭექა და ქუხილია.

დაბა-სოფლები

—

სოფ. კორბოული (იმერეთი). „ცნობის ფურცელ"-ის მე-2216 ნომერში ვწერა: „ამ დღეებში უმაღლესის ბრძანებით გამოცხადდა, რომ 1888 წლის 4 აპრილს გამოცემული დებულება ტყეების დაცვის შესახებ ამიერ-კავკასიაშიაც ძალა ჰქონდეს, ასე რომ ამას იქით ჩვენებური ტყეები ამ დებულებას დაექვემდებარებიან"-ო. დიდის სიამოვნებით წავიკითხე ეს ზემოხსენებული წერილი „ტყის დაცვის კანონი", რადგან ჩვენის ქვეყნისათვის ამ კანონის ასრულება სულზე მოსწრება იქნება. აი, ბატონებო, სოფელ კორბოულზე ამის შესახებ რას მოგახსენებთ: ამ 20—30 წლის წინად ეს სოფელი დაფენილი იყო ხშირის და გაუვალის ტყეებით, რომელშიაც ხარობდა ათას გვარი ხე, მაგრამ დღეს ამ გებერთელა სოფლის მიდამოები წარმოადგენენ გადატიტვლებულ გორებს, სადაც არამც თუ საშენებელი ტყე, არამედ ვენახის ხეარიან სასრესაც ვერ იპოვით მოსაჭრელად. დიახ, დაუფიქრებლად და დაუზოგველად გაანადგურა ამ სოფლის ხალხმა აქაური ტყეები. მოხუცებულების სიტყვით, აქაურები თურმე ათასნაირ ღონისძიებას ხმარობდნენ ტყის ასაჩეხად: შეესეოდნენ თურმე ტყეებს ცულ-ნაჯახ-წალდებით და სულ ძირს აცემდნენ უზარ-მაზარ მუხას, წაბლს, წიფელს და სხვა საშენებელ ტყის მასალას; სდგამდნენ ხორებად, უკიდებდნენ ცეცხლს და სტკბებოდნენ ამ სცენის ყურებით. საქებურად ის მიაჩნდათ, ვისი ხორების ალიც უფრო მაღლა ავიდოდა და ცეცხლიც უფრო გვიან დაჰქრებოდა. ყოველივე ამან ტყე სამუდამოთ მოსპო. პირველ ხანებში გადამწვარმა ახოებმა ვარიანი მოსავალი მოიყვანეს, მაგრამ ახლა-კი მოიჭამნენ. ტყის მოსპობას თან მოჰყვა ჭირნახულის გამანადგურებელი და უთვალავ სნეულების მიზეზი ზენა (აღმოსავლეთის) ქარი. ამ სოფელს შუაში ჩამოუდის პატარა მდინარე, დუმალა, რომელიც ტყის მოსპობამდის განუწყვეტლივ მოსდინარეობდა და თევზიც ბევრი იყო შიგ, მაგრამ ახლა ზაფხულობით-და მიდის და ჯიღე-მორევების მოსპობის შემდეგ თევზიც გაჰქრა. ამ სოფელში სცხოვრობს 800—900 კომლი და დიდი ბარაქალა იქნება, რომ 20 კომლს მოეპოვებოდეს საშეშე ტყე, დანარჩენნი-კი შორეულ სოფლებიდან ეზიდებიან შეშას. ჩვენდა საბედნიეროდ, ამ 30 წლის წინად ჩვენი მეზობელი სოფლის, ბერეთისას მამული კარგა ძალი ტყით სახაზინოთ შეირიცხა; თუ ორი წილი არა, ჩვენი სოფლის ნახევარი მცხოვრები მაინც სწორედ ამ ტყით იბრუნებს სულს. ამას გარდა, ტყის მოსპობის შემდეგ, ხის შენობები შესამჩნევად გაძვირდა, რის გამო ქვითკირის სადგომების შენებას მიჰყვეს ხელი. ტყის გაკაფვამ მიწის ნიადაგსაც დიდი ვნება მიაყენა: პატარა წვიმა ნიაღვრად იქცევა, მიწის ზედა პირი მოაქვს და ათასგან ხრამებს აკეთებს, რის გამო მიწა თან და თან ხდება.

აქვე არ შემიძლიან არ მოვიხსენიო ერთი ფრიად საშურველი გარემოება, რომელსაც ახლავე უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება. ყველას კარგად ახსოვს, თუ რამდენი ზარალი მიაყენა ქუთაისის გუბერნიას და უმეტესად ზემო იმერეთს 1895 წლის ნიაღვრობამ. მაშინდელი ზარალი იმდენად საგრძნობელი იყო, რომ უმაღლეს მთავრობის განკარგულებით კომიტეტიც-კი შესდგა დაზარალებულთა შემწეობის აღმოსაჩენად. ნიაღვრობის მიზეზად ყველამ ერთხმად აღიარეს ტყის მოსპობა. მაშინდელ ჟურნალ-გაზეთებში ბევრი დაიწერა ამის შესახებ და, თუ არა ვსცდები, სწორედ ზემოხსენებულ ტყის დაცვის კანონის შემოღებას თხოულობდნენ კავკასიაშიაც. მაშინ ზოგიერთი გუბერნატორი ხალხს უკუღმართად უხსნიდნენ ამ დებულების შინაარსს. ისინი ურჩევდნენ ხალხს, რაც შეიძლება, ჩქარა მოსჭრით და მოიხმარეთ თქვენ-თქვენი ტყეები, თორემ ყველა სახაზინოთ შეირაცხება და მერე თქვენს ტყეში უფლება ერთ ღერს წნელს ვეღარ მოსჭრითო. უსწავლელ ხალხზე გასჭრა ამ უკუღმართმა რჩევამ, რის გამო ბევრი მშვენიერი ტყე გაიჩეხ-გაიკაფა და მოისპო. ამის შესახებ ორ უტყუარს და ნამდვილს ამბავს მოგახსენებთ: შორაპნის სოფლის საზოგადოებაში არის სოფელი სანახშირე, რომელიც დაფენილია მშვენიერის მუხნარ-წაბლნარისა და ათას ჯიშის ტყეებით. სანახშირის მცხოვრებლებსაც მოეყურათ ყური ზემო ხსენებულ უკუღმართ რჩევისათვის და, მიუხედავად ჩემის სასიკეთო რჩევისა, ბევრი შვილივით ნაზარდი მუხნარ-წაბლნარის ტყეები განადგურდა და ჩალის ფასად გაიყიდა. მეორე მაგალითი: კორბოულის საზოგადოების სოფ. მოძვში მცხოვრებლებმა, რიცხვით ხუთიოდე კომლმა, გვარად ნაზაძეებმა ხუთის წლის წინად იყიდეს თავად გრიგოლ წერეთლის მემკვიდრეებისაგან სოფელ ურუნაში რამდენიმე ათი ქცევა საშენებელი ტყე, რომლის მოვლას, თუ გონიერად მოიხმარდნენ, ვერც იმათი შვილის-შვილი მოუსწრებოდა. მე თვითონ ვნახე ჩემის თვალით ხსენებული ტყე და ვურჩიე პატრონებს, რომ გამოეზოგათ და გონივრულად მოეხმარათ, მაგრამ იმათ, აი, რა მიპასუხეს: „კარგმა ნასწავლმა გვირჩია, რომ რაც შეიძლება ჩქარა გაასაღეთ მაგ ადგილს ეგ ხე-ტყე, თორემ სახაზინოთ შეირაცხება და სულ დაიღუპებითო". ახლა რომ ნახოს კაცმა ის ადგილი, ვერ იფიქრებს, რომ აქ ტყე ყოფილა.

ადგილების დროზედ გაუმიჯნაობაც დიდად შეუშლის ხელს ამ კანონის ასრულებას ჩვენში. ამ 2—3 წლის განმავლობაში 10—15 მაგალითს მეტს დავასახელებ, რომ ერთმანეთის ჯიბრზედ აკაფ-გაკაფეს საერთო გაუყოფელი ტყეები ჩვენში. რადგან ამისთანა მაგალითი სხვა სოფლებშიაც ბევრი იქნება, ამისთვის ადგილების დროით გამიჯვნაზედ ამ თავითვე უნდა იზრუნონ.

ვლადიმერ მაჭარაშვილი.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

22 აგვისტო

პეტერბურგი. დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე რამდენადმე უკეთმყოფობას გრძნობს; იმ მხარეს, სადაც დამბლა დაეცა, მოძრაობა დაეტყო: სიცხე არა აქვს; გული რიგზე მუშაობს.

— „კანონთა კრებულში" დაბეჭდილია, რა წესით შეუძლია გამართოს კერძო კაცმა, საზოგადოებამ, თუ საზოგადო დაწესებულებამ სახალხო საკითხავები მეურნეობისა და სამეურნეო ცოდნათა შესახებ.

სოფია. ტყუილია ის ხმები, ვითომ ოსმალეთმა ულტიმატუმი წაუყენა ბოლგარიასა.

იმპერატორ ალექსანდრე მე-III პორტი. ხელმწიფე იმპერატორი, დედოფლები მარიამ თეოდორეს ასული და ალექსანდრა თეოდორეს ასული და დიდი მთავარი ალექსი ალექსანდრეს ძე 10 საათსა და 50 წუთს მობრძანდნენ. მშვენიერი ამინდია. დედოფლებს თაიგულები მიართვეს. ყარაულის დათვალიერების შემდეგ მათი უდიდებულესობანი და მისი უმაღლესობა ეტლით ტაძარში გაემგზავრნენ. ნავთ-სადგურზე გუბერნატორმა თავად-აზნაურობა წარუდგინა.

ნიუ-იორკი. ბირჟაზე თითქმის შიშის ზარი ჩამოვარდა იმის გამო, რომ ოფიციალი ცნობა გამოაცხადეს, წლევანდელი ბამბის მოსავალი უფრო მეტია, ვიდრე საშუალო რიცხვით ამ ათის წლის განმავლობაში იყო. ვაჭრები დიდად აღელვებულია. ფასები საერთოდ დაეცა.

პარიზი. მინისტრთა საბჭოს დღევანდელს კრებაზე დიდხანს ბაასი ჩამოაგდეს ოსმალეთის საქმეების შესახებ. ამბობენ, სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა სტამბოლში საერთოდ წარუდგინეს პორტას თავისი აზრიო.

ადრიანოპოლი. კირკ-კილისეში ვაჭრობა და მიმოსვლა სრულებით მოისპო; ახლო მახლო ადგილებშიაც-კი საშიში გამხდარა. რედიფებსა (სათადარიგო ჯარია) და ბაშიბუზუკებს უჭირავთ, ძალადობას ხმარობენ. კირკ-კილისესა და ტირნოვოს ხუთი ბატალიონი და ერთი ბატარეა გაუგზავნეს. ოსმალეთის ცნობებით, ამ ორ ოლქიდან აჯანყებულთა რაზმების განდევნა კიდევ გრძელდება. ამ დღეებში კიდევ მოუხდათ რაზმებთან შეტაკება.

ვარონეჟი. საგლეხო სადგილ-მამულო ბანკის განყოფილებამ ბობროვსკის მაზრაში 22 ათასი დესეტინა მიწა იყიდა, რომ იმ გლეხებს მიჰყიდოს, რომელთაც მიწა არა აქვთ.

უფა. გვალვების გამო ცეცხლი გახშირდა. ბევრგან იწვის ტყე. მენზელინსკის მაზრის სოფ. შუგანში 20 აგვისტოს 338 სახლი, ეკკლესია, სკოლა, ბაზარი და შური დაიწვა. გუბერნატორმა განკარგულება მოახდინა მკვიდრთ დახმარება აღმოუჩინონ.

კრემენჩუგი. საერო კრებამ გამგეობის მოხსენება მიიღო შესახებ იმისა, რომ კრემენჩუგის მაზრაში საყოველთაო სწავლება იქმნეს შემოღებული.

არიოლი. ტურგენევის გარდაცვალების ოცის წლის შესრულებისა გამო საკრებულო ტაძარში პანაშვიდი გადაიხადეს; დაესწრნენ საოლქო სკოლების მასწავლენი და მასწავლებელნი უფროსებითურთ.

23 აგვისტო.

ლიბავა. 23 აგვისტოს ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე დედოფალი ალექსანდრა თეოდორეს ასული და მარიამ თეოდორეს ასული და დიდი მთავარი ალექსი ალექსანდრეს ძე ეტლებით სობოროსაკენ წავიდნენ. წირვის შემდეგ ხელმწიფე იმპერატორმა სობოროს მოედანზე პარადი მიიღო. შემდეგ უმაღლესი სტუმრები იახტა „შტანდარტ"-ზე წავიდნენ სასაუზმოდ. ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე დედოფალი, დიდი მთავარი ალექსი ალექსანდრეს ძე, დიდი მთავრის მეუღლე ოლგა ალექსანდრეს ასული დოკების დასათვალიერებლად მოვიდნენ. მათი უდიდებულესობანი და მათი უმაღლესობანი წავიდნენ მექანიკურ სახელოსნოს დასათვალიერებლად. საადმირალო ელექტრონულ სადგურზე გავლის და მის დათვალიერების შემდეგ ინახულეს საავადმყოფო; შემდეგ მრთელი ნავთსადგური მოიარეს და საზღვაო საკრებულოში მივიდნენ, სადაც საზოგადოებისაგან გამართული ჩაი დალიეს; აქედან ისინი იახტაზე წავიდნენ.

სტამბოლი. ოსმალეთის მთავრობის და საზოგადოების შორის შეკრული იყო პირობა, რომლის ძალითაც პირველს უნდა წლის განმავლობაში ან გამოესყიდნა სანაპირო, ან საზოგადოებისათვის დანახარჯი ეზღო. რადგანაც ოსმალეთის მთავრობამ თავისი პირობა არ შეასრულა მიუხედავად ვადის ერთი წლით გაგრძელებისა, საფრანგეთის ელჩმა მოსთხოვა მას, მისცეს საზოგადოებას 50,000 ოსმალური ლირი ორი წლის ზარალის დასაფარავად. გარდა ამისა მთავრობამ საზოგადოებას ყოველი უფლებები უნდა განუახლოს.

ადრიანოპოლი. შუქრი-ფაშას, რომელიც ტირნოვოში წინამძღოლობს ჯარს, საქმე კარგად მიჰყავს: იმან რამდენიმე ასი მეამბოხე დაატყვევა.—კირკ კილისეს ოლქის დამშვიდებას კიდევ დიდი ხანი უნდა, რადგანაც ადგილის მდებარეობა პარტიზანულ ომს ხელს უწყობს და რაზმები ღამ-ღამე მოქმედობენ. —სალვარ-გარედ გავრცელებული ხმა, ვითომ მრთელი ადრიანოპოლის ვილაიეტი ამბოხებულიყოს, სრული სიმართლე არ არის. რაზმები 6 ვილაიეტიდან მხოლოთ ერთში დათარეშობენ. პორტას ცნობაში რუსეთის და ავსტრიის საელჩოში ნათქვამია, რომ უკანასკნელ კრებაზე სოფიაში კომიტეტმა გადასწყვიტა ძალა დაატანოს თავის წევრებს, რომ მათ რაზმები ან შეადგინონ და ან ფული შეიტანონ. ვინც ამ გადაწყვეტილებას არ დაემორჩილება, იმათ დახოცვენ. ამის გამო კუსტენდილსა და დუბნიცაან ბოლგარიის საზღვარზე რაზმები თავს იყრიან. იარაღი, სურსათი და დინამიტი კომიტეტისათვის ბოლგარიის პოლიციის თვალ წინ გადმოაქვთ გემებიდან ბურგასის სრუტეში და სხვა ადგილებში.

ათინა. სახელმწიფოთა წარმომადგენლებს სთხოვა რალლიმ, რადგან ოსმალეთის მხედრობა კრუშევოში ძალმომრეობას ხმარობს, იქაური გუბერნატორი ბახტიარ-ფაშა დასჯილ იქმნასო.

სარაევო. დაიწვა 600 სახლი, რამდენიმე კაცი დაიღუპა; ზარალი დიდია.

ბელგრადი. ნიშში იპოვნეს პროკლამაცია, მრავალ აფიცერთაგან ხელმოწერილი. ამ პროკლამაციით თხოულობენ სამართალს მიეცნენ ის აფიცრები, რომელთაც მეფე ალექსანდრეს წინააღმდეგ შეთქმულობაში მონაწილეობა მიიღეს.

სტამბოლი. ოსმალეთის გაზეთები ხონთქრის სალამს უძღვნიან მცხოვრებთ და ურჩევენ იმის მაგალითს მიჰბაძონ.—ზამთრის მოახლოვების გამო სულთანი თავის კერძო საშუალებიდან შესწირავს საჭირო თანხას მხედრობათათვის თბილი ტანისამოსის შესაძენად.—პრეფექტურამ დააარსა [illegible] კომისია შემოწირულების მისაღებად ბოლგარიის მეამბოხეთაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ.—კირკ-კილისეს ოლქის სოფ. პენკეს 250 მცხოვრები, რომელნიც რაზმებს შეუერთდნენ, თავის სოფელში დაბრუნდნენ. შეტაკებაში ორივ მხრით 200 კაცია მოკლული. ოკრიდის ოლქში მოხდა შეტაკება რაზმთან მღვდელის ვასილის წინამძღოლობით. რაზმმა ორი ბოლგარელი დაჰკარგა და გაიფანტა. მეამბოხეთა რაზმი (170 კაცი), სუფლისთან ორად გაიყო. 50 კაცი დერვენდს გაემართა, დანარჩენი 120 დოგლა-ხისსარის და ტორბაჩიკის შუა სდგას. ალბად, აქედან იმათ სამხედრო მატარებლების აფეთქება უნდათ. ამ რაზმების საძებნელად ედიბ-ფაშამ რამდენიმე რაზმი გაჰგზავნა.

სოფია. ხმები, ვითომც მთავარს მოეწვიოს რჩევაზე ოპპოზიციის მეთაურნი, ტყუილია. მთავარი სრულიად ენდობა სამინისტროს; თავადმა მოულოდნელად მოიწვია ევქსინოგრადში ყველა მინისტრები. შესდგა საგანგებო რჩევა.

ცნობა, ადრიანოპოლში ცეცხლის წაკიდებისა და თოფის წამლის სარდაფის აფეთქების შესახებ,—ტყუილია.

ნიში. დაპატიმრებულ ოფიცერთა რიცხვში ურევიან კაპიტანი სოლოვიჩი და პოდპოლკოვნიკი პეშტიჩი, დისწული 29 მაისს დაჰრილის თეოდოროვიჩისა. სოლოვიჩი მეფე ალექსანდრეს ადიუტანტი იყო. ოფიცრები თხოულობდნენ სიკვდილით დაესაჯნათ განსვენებულ მეფის წინააღმდეგ შეთქმულნი. პროკლამაციას 700 ოფიცერი აწერს ხელს.

სოფია. მთავარმა ხელი მოაწერა საერო კრების დათხოვნის ქაღალდს. ეს ბრძანება გამოქვეყნდა და დიდი ამბავი გამოიწვია.—მეამბოხეთა ბანაკიდან სტრუმიცის კაზაში იტყობინებიან, ადრიანოპოლის მიდამოებსა და ბიტოლიის ვილაეტში რამდენიმე შეტაკება მოხდაო.—იტყობინებიან ოსმალების სასტიკ მოქმედებას.—გემ „ვასკოპუ"-ს აფეთქების შესახებ ბევრნაირი ხმებია. ჰფიქრობენ, რომ მილი გასკდა და ფიცრებს ცეცხლი წაეკიდაო. 20 მსხვერპლია.

ვენა. ტრავნიკში გაჩენილ ცეცხლის დროს 500 სახლი დაიწვა, მათ რიცხვში 7 მეჩეთი და ერთი სინაგოგა. 3000 კაცი უსახლკაროდ დარჩა.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი.**

განცხადებანი

№ 4711

ო-დე-ლი

EAU DE LYS

თეთრი, ვარდისფერი
და ყვითელი;

ყველასაგან აღიარებულია საუკეთესო საპირფარეშო საშუალებად პირის დასაბანად, პირის კანის გასაახალგაზრდებლად, ჭორფლისა და მეჭეჭების მოსაშორებლად.

ფირმ. მიულგენსი

კელნი რეინზე და რიგა.

საქონლის დამმზადებელი მის იმპერატორებით უდიდებულესობის სასახლისათვის. (მც. 1—2)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლ. ხონის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ. სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, ქირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—219)

Дозв. ценз. Тифлисъ, 23 Августа 1903 г

ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ.

(Электропеч. Груз. Издат. Т—ва)